№ 28 თებერვალი 7, კვირა — 1888 — თებერვალი 7, კვირა № 28


# ივერია

სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1888

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი №. ..., განჯიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანტორას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888


### ქართული თეატრი

სამშაბათს, 9 თებერვალს,

ბენეფისი ნ. გაბუნია-ცაგარლისა

«ქართულ დრამატიულ საზოგადოების» დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ბ-ნ ქ. ყიფიანის მონაწილეობით:

I

## ქარაფშუტა

კომ. 3 მოქმედებად, ფრანგულიდამ გადმოღებული.

II

## ბაიყუში

კომ. 2 მოქმედებად, ა. ცაგარლისა

მონაწილენი: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვი-აბაშიძისა, თამაროვისა; ბ-ნი ყიფიანი, აბაშიძე, მაქსიმიძე, ხუციევი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ.

ბილეთები შინ არავის გაეგზავნება.


**ტფილისის საბაჟო (ტამოჟნა)**

აცხადებს საყოველთაოდ, რომ თებერვლის თერთმეტიდამ, ესე იგი ხუთშაბათიდამ ტამოჟნის პაკჰაუზებში დაიწყება გასყიდვა აუქციონით იმ საქონლისა, რომლისა თვისაც ბაჟი არ შემოუტანიათ, სახელდობრ: სარკეების თლილი შუშები 28 ცალი, სიდიდით თითო 840 ოთხ-კუთხი ვერშოკი, აბსენტი 39 ბოთლი, რკინეულობა 52 ფუთი, შამპანური ღვინო 151 ბოთლი, ჯუთის ტომრები 1890 ცალი, საბაზრო შავი ჩაი 21 ფუთი, დაჭრილი თამბაქო 10 ფუთი, სიგარები 3 ფუთი, პაპიროსები 1 ფუთი და 30 გირვანქა, თლილის მინის ჭურჭელი 27 ფუთი, ბამბის ქსოვილები შავის ფერისა 11 ფუთი, თიხის ფილაქანი იატაკისათვის 42 ფუთი, 22 ყუთი სხვა-და-სხვა მინის ჭურჭელი, არაყი (ბიტერი) 181 ბოთლი, წითელი ღვინო 10 ბოჭკა და სხვანი.

ვისაც ჰსურს გასინჯოს ეს საქონელი აუქციონამდე, ნება აქვთ მობრძანდნენ საბაჟოში დილის 9 საათიდამ 11 საათამდე ყოველ-დღე, კვირა-უქმის გარდა. (1—1)


ტფილისი, 6 თებერვალი

მთელი ქვეყანაა და თ-დის ბისმარკის სიტყვა, წარმოთქმული გერმანიის პარლამენტში ამ უკანასკნელ დროს. რაც-კი სადმე ჟურნალია, ან გაზეთი—ყველა ერთად და თვითვეული ცალკე ამ სიტყვის გამო ჰლაპარაკობს, ამ სიტყვასა სჯის და ჰხსნის. ეს სჯა და ხსნა მით უფრო ადვილად შესაძლებელია, რომ თვითონ სიტყვა თ. ბისმარკისა ჰოც არის და არაცა, არაცა და ჰოც ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე საგანზედ. ორს საათზედ მეტი ილაპარაკა თურმე «რკინის კანცლერმა» და ისე ოსტატურად, რომ თავიდამ ბოლომდე ყველა მაყურებელი სმენად გადააქცია და მაინც არა სთქვა-რა, — არა სთქვარა იმისთანა, რომ ეხლანდელს დახლართულს საქმეებს ევროპიისას შუქი მოჰფენოდა და საიდუმლოდ მომქმედნი მართულები ეხლანდელის პოლიტიკისა ცოტად თუ ბევრად მზეზედ გამოფენილიყო.

ვამბობთ «არა სთქვა-რაო», მაგრამ,—თუ გნებავთ,—იმდენი რამ სთქვა, რომ თვითვეულს ცალკე შეუძლიან, რაც ჰსურს, ის ამოიკითხოს თ. ბისმარკის სიტყვისაგან. ამ შემთხვევაში თ. ბისმარკის სიტყვა ქვევრსა ჰგავს და რასაც ჩასძახებ, იმას ამოიძახებს. ამიტომაც არ არის არც ერთი ჟურნალ-გაზეთი, რომ მეორეს ეთანხმებოდეს ამ სიტყვის გამო და თვითვეულს ცალკე რაც აგონდება, ის ესიზმრება, როცა ამ სიტყვის კვანძის გამოხსნას წაატანს ხოლმე ხელს.

ერთის სიტყვით, თ. ბისმარკის სიტყვა ჭურჭელია ისე ოსტატურად გაკეთებული, რომ თვითვეული ჩვენგანი, საიდაც ჰსურს, ყურს იქიდამ გამოაბამს. ამ სიტყვაში მუქარაც არის და დაყვავებაც, სამდურავიც და მადლობაც, წყრომაცა და თავაზაც, თავ-მოწონებაც, და თავ-მდაბლობაც, კიცხვაც და პირ-ფერობაც და ბოლოს თქმაც და არა-თქმაცა. ამიტომაც მშვიდობის მოყვარენიც აღტაცებაში მოდიან ამ სიტყვისაგან და ომის მონატრენიცა, — ყველას საბუთი მისცა თ. ბისმარკმა მისი სიტყვა ისე გამოიყენონ, როგორც ჰსურთ.

იმ ხანებში, როცა თ. ბისმარკი ამ ნაირს ამბავს უმზადებდა ევროპას და როცა თვით ევროპა დიდის გულის ფანცქალით მოელოდდა,—აქა თ. ბისმარკი რას იტყვის პარლამენტშიო, მოჰხდა ერთი სხვა საქმე ევროპაში იმისთანა, რომ სხვა დროს ბევრს ყალხზედ დააყენებდა და დიპლომატიას დიდად ააყაყანებდა. ეხლა-კი ყველანი დაატყვევა თ. ბისმარკის სიტყვამ და ჯეროვანი ყურადღება არავინ მიაქცია. მით, რასაკვირველია, ხსენებულს საქმეს თავისი მნიშვნელობა არ დაჰკარგვია ეხლანდელის დროისათვის და ამ მხრით იგი შენიშნულია გერმანიისა და ავსტრიის ჟურნალ-გაზეთებისაგანაც.

აი საქმე რაშია: საფრანგეთში მას აქეთ, რაც დაემხო გობლეს სამინისტრო, არც ერთმა სხვა სამინისტრომ თავი ვერ დაიჭირა დიდხანს. დაემხო მას შემდეგ რუვიეს სამინისტროც, რომელმაც თან გადიტანა თვით გრევის პრეზიდენტობაც. გაპრეზიდენტდა სადი-კარნო და ამასაც გაუძნელდა სამინისტროს შედგენა, მთავარ-მინისტრობას არავინ ჰკისრულობდა, რადგანაც არავინ იყო იმისთანა, რომელსაც პარლამენტის მომხრეობის იმედი ჰქონოდა. მხოლოდ ერთი კაცი ფლოკე იყო, ეხლანდელი პრეზიდენტი პალატისა, რომელსაც შეეძლო პალატის უმრავლესობის მომხრეობა ჰქონიყო და რომლის მეთაურობას პალატა სხვაზედ უფრო მეტად ხელს შეუწყობდა და, მაშასადამე, თუ შესაძლო იყო მკვიდრი და ხან-გრძელი სამინისტრო შემდგარიყო, ამის შემძლებელი მარტო ფლოკე ეგონათ.

სამინისტროების დღე-მოკლეობა ახალი ამბავი არ არის საფრანგეთისათვის: იქ სამინისტროები პანტაზედ უფრო ადვილად ჰკვივიან, მაგრამ ეხლა, როცა ევროპა დღე ყოველ მოელის დიდს განსაცდელსა და ეს განსაცდელი საფრანგეთსაც უეჭველად მოიმწყვდევს, საჭიროა იმისთანა სამინისტრო, რომელსაც უნდა ხანგრძლიობის და ფეხ-მაგრობის იმედი ჰქონდეს როგორც შიგნით, ისე გარედაც. ამას ითხოვს დრო და თვით-მფარველობა საფრანგეთისა. სამინისტრო, რომელიც თვის დღე-მოკლეობას თავის გულშივე ატარებს, შინაც უტეხს კაცს გულსა და გარედ ხომ მტერს აქეზებს და აქეზებს. გარდა ამისა დღე—მოკლე სამინისტროს სამეგობროდაც ხელს არავინ აწვდის გაბედულად იმის შიშით, რომ ვაი თუ ხვალ სხვა მოვიდეს და პირი გვიბრუნოსო. ამიტომაც კარგა ხანია საფრანგეთი იმის ცდაშია, რომ ერთი იმისთანა სამინისტრო შესდგეს, რომელსაც ზურგი მაგარი ექმნება პარლამენტისა და საფრანგეთისაგანაო. როგორც მოგახსენეთ, ამისთანა სამინისტრო კაცი ფლოკეა დღეს ყველასაგან ამ მხრით მიჩნეული.

ხოლო ფლოკეს გამინისტრებას ერთი დასაბრკოლებელი მიზეზი ჰქონდა დღეს აქამომდე. 1867 წელსა, როცა განსვენებული ხელმწიფე იმპერატორი ალექსანდრე II პარიჟში ბძანდებოდა, ფლოკეს, მაშინ ჯერ ყმაწვილკაცს, საიდაც საჯაროდ წამოუძახნია: «გაუმარჯოს პოლშასაო!». რასაკვირველია, ეს ამისთანა სიტყვა საწყენად დარჩენია რუსეთსა და მას აქედ თუმცა ბევრმა ხანმა გაიარა და ფლოკემაც სახელმწიფო კაცთა შორის დიდად თვალ-საჩინო ადგილი დაიჭირა, მაგრამ რუსეთის ეჭვი საფრანგეთში არამც თუ ახლო არ იკარებდა ფლოკეს, არამედ გასაცნობლადაც ერიდებოდა. როგორღა უნდა მოეწვიათ მთავარ-მინისტრად ის კაცი, როცა იგი ამოდენად უსიამოვნო იყო რუსეთისათვის. დღეს ხომ რუსეთი ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელიც თავის ძლიერებით ასე თუ ისე ჰლაგმავს თვით-ნებობას გერმანიისას, ამ საფრანგეთის დაუძინებელის მტრისას.

---

# ფელეტონი

### სიმღერა

უფროც დაბნელდი, ღამეო,
ეგებ დავკარგო ბილიკი, —
კლდიდამ გადავარდე წყალშია,
მორევს რომ გააქვს ღიკღიკი.
ეგებ დამმიროს მორევმა,
ქვიშაში დამემინოსა,
წყალნი იმ არაგვისანი
უბეში ჩამედინოსა;
მესმოდეს დაულეველი
ზვირთების ჩქეფა, ზრიალი,
გასწვრივ-გასწვრივი მხაპუნი,
პირ-ქათქათანი ტრიალი;
ჭმის სათვალავზედა დებური
გულს მუშტის ცემა, ღრიალი,
წყლის მხევის ორაგულისა
ორკაპის ბოლოს შრიალი, —
ფშათი იმ წმინდა წყლიანთი,
წვეთთა წკაპ-წკაპი, წკრიალი.
ნუ ეგებ გზასა, ლურჯაო,
ნურცა ჰკლონდები ჭმისადა;
მე თავი ჩამიბარებაც
ჩემის არაგვის წყლისადა.
თუ შენ ცოცხალი გადაჰრჩე,
წადი დედაჩემს უთხარი,
რომ მოვკვდი უპატრონოდა
და არაგვი მაქვს სუდარა.
უთხროდი: «შენთვის, დედაო,
მაინც ხომ ვიყავ ურგები,»
არ დამიღონდეს, გენაცვლე, —
ცრემლი არ ღვაროს მწარია;
ერთი სანთელი დამინთოს,
ისიც არამი არია!
ჩემ ფერა შავ-ბნელ შვილზედა,
განაღამც გლოვა-ზარია?!.

ვაჟა-ფშაველა

### ქართველთა შორის

ლაქია და მეგაზეთე.—როგორ მიდის ვაჭრობა ტფილისში.—ქართველს კაცს არც ნატვრაში აქვს შნოვო.—მოდი ამ... ეშხზე ელაპარაკე.—ბ-ნ მზრუნველის წლიური ანგარიში.

კარგ ლაქიას არა შეედრება-რა. ბატონის სიტყვას ძირს არ დაუშვებს. თვალის დახამხამებაზე შეასრულებს იმის ბძანებას. ყველაფერს ისე სწრაფად და მადლიანად გააკეთებს, რომ უკეთესი აღარ შეიძლებოდეს. მე ვამბობ ოჯახის საქმეებზედ. მაგრამ თუ ბატონი მოხერხებული კაცია, ბევრს სხვასაც გამოჰრჩება კარგს ლაქიასა. მაგალითად, ჰკვიან მეგაზეთესათვის ლაქია ფას-დაუდებელი განძია. მეტადრე თუ იმისთანა გაზეთში ჰმუშაობ, რომელსაც «ინჩიც» არ გაეგება გარემო ცხოვრებისა. მაშინ ლაქია გზა-მაჩვენებელ ვარსკვლავად გაიხადე და, თუ კალამი მოგდევს, დაფნის გვირგვინი და კიდევ ბევრიც სხვა რამ მზა არის შენთვის. როგორაო? გაიოცებთ და მკითხავთ. პირველად მეც ძრიელ მეოცა, მაგრამ როდესაც მე თვითონ, ჩემის საკუთარის თვალით, შევიქენი მოწამე ამ გვარის ამბისა, მაშინ უნებლიედ ვსთქვი გულში, რომ ჩვენს დროში მართლა საკვირველმა-კი არ უნდა გააოცოს კაცი, არამედ იმან, რაც საკვირველი არ არის-მეთქი. აი ხომ საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ გაზეთი თუ სხვა გვარი მწერლობა უნდა ემსახურებოდეს სიმართლეს, უნდა შეუცვლელადა ჰქონდეს სახეში საზოგადოების დღეგრძელობა, იმისი სიკეთე, უნდა სდევნიდეს ბოროტებას, და სხვანი. ეს ჭეშმარიტება აუცილებელი გგონიათ და სავალდებულოდ მიგაჩნიათ ყველასათვის, ვინც-კი კალამს მოჰკიდებს ხელსა. მაგრამ ნუ-კი გამიწყრებით და უნდა აღვიარო, რომ რამდენიც მომატებულად ვაკვირდები ჟურნალსა თუ გაზეთებს, ანუ ახალ დროების წიგნებს, იმდენი უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ყოველ გვარი ჭეშმარიტება მხოლოდ გულ-წრფელ და გულ-უბრყვილო ხალხისათვისა ყოფილა სავალდებულო. ნამდვილად-კი ისეა თურმე საქმე, რომ გაზეთებიცა და ჟურნალებიც ოსტატურად მიაფუჩეჩებენ ხოლმე კუთხეში სადმე ჭეშმარიტებასაცა და სიმართლესაც და იმათის სახელით ისეთს რასმეს ემსახურებიან, რომ პატიოსანს კაცს შეჰზარავს და გულს აუმღვრევს. ამიტომაც მე დღეს ისკი აღარ მიკვირს, რომ გაზეთი ემსახურებოდეს ეშმაკსა და თილისმობას, არამედ მეოცება და მიხარიან, როდესაც შევხვდები სადმე პატიოსნების მოსამსახურე გაზეთს, რომელსაც ვერც ერთი ეშმაკი, თვით ბელზებულიც-კი, ვერ გაამრუდებინებს ნაბიჯსა და ვერ შეუცვლის გზა-კვალსა.

აბა ამის შემდეგ რაღა გასაოცარია, რომ მეგაზეთე ლაქიების ფეხის ხმას აჰყოლოდეს. ვსთქვათ, კაცი ვინმე გარემოებამ ჩააგდო უცხო ხალხში და რამდენიმე ათი წელიწადი ამყოფა. ვსთქვათ, არა ჰქონდა არც სურვილი და არც ჭკუის მოთხოვნილება ესწავლა ამ ხალხის ენა, ზნე-ჩვეულება, იმისი წარსული, იმისი თავ-გადასავალი, ავი და კარგი. შემდეგ ცოტათი გამოიცვალა გარემოება. დრომ მოიტანა საჭიროება, რომ ამ ხალხისა შეატყობინოს რამ თავის საზოგადოებას, გააგებინოს რამ იმის ყოფა-ცხოვრებისა. რომ არა იცის-რა, აბა რას შეატყობინებს. აღიაროს თავისი უვიცობა—ეგეც არვარგა: ქვეყანა მასხარად აიგდებს—ამდენი ხანი მანდა სტრიალებდი, რა ღმერთი გაგიწყრა, რომ ვერა გაიგეო. თუ მოხერხებული კაცია, ისე აჩვენებს ყველას თავსა, ეგონოთ—იმას არა გამოჰპარვია-რა, ხუთის თითივით შეუსწავლია ხალხი და კიდევაც აუხელს საზოგადოებას თვალსაო. მხოლოდ არ დაივიწყოს-კი და ყველაფერში ლაქიას დაეკითხოს, ლაქიას, რომელიც შვილია იმისთვის უცნობ ხალხისა. არ შეიძლება, რომ ლაქიას, რაც უნდა გაუნათლებელი იყოს, ცოტათი მაინც არა ჰქონდეს წარმოდგენა წარსულისა, ცოტათი მაინც ყური არ მოეკრას დღევანდელ წადილთათვის. მხოლოდ ხერხიანად-კი გამოჰკითხოს, მეტი არა უნდა-რა—ლაქიის ავტორიტეტობით ისტორია-

ბელ მტრისას. დღეს ხომ რუსეთი ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელიც კარგის თვალით უყურებს საფრანგეთსა და იმის წახდენას და გაქელვას არას გზით არ შეიწყნარებს გერმანიისაგან.

აი ამ ანგარიშმა, ამ გარემოებამ დაუშალა, რომ საფრანგეთმა არ მოიწვია მთავარ-მინისტრად ფლოკე. საფრანგეთს რუსეთის რიდი და თავაზა ჰქონდა და დაეკრძალა იმის წყენას. ხოლო ამ ბოლოს ხანებში უეჭველი ხმა გაისმა, რომ რუსეთის ელჩმა ერთს წვეულობაში ნება მისცა ფლოკეს გასაცნობლად წარსდგენოდაო. ეხლა დამტკიცებულია, რომ ფლოკე მართლა წარუდგენიათ გასაცნობლად რუსეთის ელჩისათვის, ელჩი კარგად დაჰხვედრია ფლოკეს და მთელი ნახევარ საათი ერთმანერთთან უსაუბრნიათ. ბოლოს ფლოკეს დიდი სადილიც გაუმართავს და მიუწვევია რუსეთის ელჩი. ელჩიც სწვევია და ამით დიდის ხნის სამდურავი რუსეთისა ფლოკეს თავიდამ ახსნია.

„ღირს შესანიშნავიაო, ამბობს ერთი გერმანული გაზეთი: რომ რუსეთის წარმომადგენელმა ეს დღევანდელი დღე აირჩია ფლოკესთან დაახლოვებისათვის, რასაკვირველია, თავისის მთავრობის ნებართვითაო."

მართლა რომ შესანიშნავია. ყველამ იცის, ფლოკე რა ბანაკის კაცია და ადვილად მოსალოდნელია, რომ საგარეო პოლიტიკა საფრანგეთისა ფლოკეს გამინისტრებისვე უმალ უფრო გაბედულად და ფხიანად დაიწყებს მოქმედებას. რომ მის გამინისტრება მოახლოვებულია. ეგ აშკარაა. დეპეშამ უკვე მოგვიტანა ამბავი, რომ ეხლანდელი სამინისტრო ტირარისა ჰქლამის გადადგომასაო. ამაში დაუჯერებელი არა არის-რა: ფლოკეს გამინისტრება ყველასათვის სასურველია საფრანგეთში და რა-კი ეხლა ამას დასაბრკოლებელი მიზეზი აღარა აქვს-რა, რაკი რუსეთმა შეირიგა ფლოკე, ბევრად დასაჯერია, რომ ტირარს დაითხოვენ და ფლოკეს ჩააბარებენ სამინისტროსა. რაკი ტირარის გადადგომის ამბავი ზედ მოჰყვა ფლოკეს შერიგებას, აშკარაა, რომ ფლოკეს მალე ვნახავთ მთავარ-მინისტრად საფრანგეთში და ეს ვერაფერი სახარობლო ამბავი იქნება გერმანიისათვის.

## ახალი ამბავი

⁂ ბ-ნს ს. წერეთელს, რომელიც აქამდე მომრიგებელ-მოსამართლედ იყო და ახლა ნაფიცი ვექილია ტფილისში, განუზრახავს ყოველ თვიურის ჟურნალის ბეჭდვა ქართულს ენაზედ. ს. წერეთელს უკვე გაუგზავნია ქაღალდი ამ საგნის თაობაზედ პეტერბურგში ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველოში და ნება-რთვა უთხოვნია. ჟურნალს სახელად ერქმევა „საუბარი" და ჩვეულებრივის პროგრამით გამოვა. ჟურნალში არ ექმნება ადგილი მხოლოდ საპოლიტიკო განყოფილებას. ჟურნალი ეღირება წელიწადში 5 მანათი.

⁂ ბ-ნს ივ. მაჩაბელს, რომელმაც გადმოსთარგმნა ამას წინად ინგლისურიდამ შექსპირის ტრაგედია «ჰამლეტი», უკვე გაუთავებია მეორე ტრაგედია შექსპირისავე «ოტელლო». ეს ტრაგედია იბეჭდება ამ ჟამად ცალკე წიგნად.

⁂ მთავრობამ განიზრახა დააარსოს სტიპენდია გენერალ-ადიუტანტის თ. ლ. ი. მელიქოვის სახელობაზე და ამ აზრით ხელის-მოწერა გამართა. მას აქეთ, რაც ხელის-მოწერა დაიწყო, 1 თებერვლამდე უკვე შეგროვილა 2,193 მ. 97 კაპ.

⁂ ხვალ, 8 თებერვალს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზედ, დანიშნულია მორიგი კრება ტფილისის საბჭოს წევრთა. კრებას ამ საღამოს ბლომადა აქვს განსახილველი სხვა-და-სხვა ტფილისისათვის საყურადღებო საგნები.

⁂ ხუთშაბათიდამ ტფილისის საბაჟოს შენობაში, რკინის გზის სადგურს ახლო, დაიწყება გასყიდვა აუქციონით სხვა-და-სხვა საქონლისა, რომლის ბაჟიც პატრონთ დღემდე არ გადაუხდიათ. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ესევე საბაჟო ჰყიდის აუქციონით იმ საქონელსაც, უფრო სპარსულს ხალიჩებს, რომელიც ამ კარგა ხნის წინად პოლიციამ წაართვა ზოგიერთს ტფილისის ვაჭრებს, რადგან უბაჟოდ და ქურდულადა ჰქონდათ მოტანილი. ამ გვარი საქონელი საბაჟოს უკვე ცხრა ას სამოცის თუმნისაზე მეტი გაუყიდნია დღემდე.

⁂ დიდს შეწუხებაში ჩაცვივნულან ქართლში ის სოფლები, რომლებიც ქარელს ახლო-მახლო მდებარეობენ მტკვარ გაღმაცა და გამოღმაცა. როგორც მოგეხსენებათ, სოფელს ქარელში რკინის გზის სადგურია. ამ სადგურს საკმაოდ დიდი მაზრა აქვს და ხალხი ბლომად ეტანება. მტკვარში გასასვლელად ბორანი იყო გამართული. აქეთ თთ. ციციშვილებს ეკუთვნის მტკვრის პირი მამულები და იქით ბებნისის სახელმწიფო გლეხთა. რადგან მებორნეს უარი უთქვამს ბებნისელებისათვის, ბორანზე მუქთად არ გატარებთო, სოფლელებს აუღიათ და თავიანთ ნაპირზე ბორნის ბოძები მოუშლიათ, — რახან არ გვატარებ, ჩვენც ბორანს არ გამოუშვებნებთ ჩვენს მამულზეო. ამაზე შემდგარა საქმე და ბორანი აღარა მუშაობსო. ამ სახით გაღმა-გამოღმა მხარე დაერჩით უბორნოდაო. იმათ კიდევ არა უშავთ-რა, ვინც ქარელისკენა სცხოვრებენ, როგორც იქნება იოლად წავლენ, მაგრამ ვინც გამოღმა ვართ და მუდამ საქმე გვაქვს ქარელის რკინის გზის სადგურზე, ძალიან გაგვიჭირდა საქმეო. თუ დიდ-წყლობამდე მაინც ბორანი არ გაიმართა და გაზაფხულზედაც ესე უბორნოდ დაერჩით, თქვენი მტერი, ჩვენი საქმე იქნებაო.

⁂ ბათუმი: ამას წინად «ივერიაში» მოხსენებული იყო, რომ ერთის ქორწილის შემდეგ ორს ყმაწვილ კაცს მოუვიდათ უსიამოვნებაო. როგორც იწერებოდნენ, უსიამოვნება გათავდა იმით, რომ ერთი მოჩხუბართაგანი დაიჭრა ხანჯლითაო. ეს სამწუხარო ამბავი ისე არ მომხდარა, როგორც მოხსენებული იყო. აი საქმე როგორ ყოფილა: ბ-ნი ნიკო ქუთათელაძე და ბ-ნი ა., რომლებიც მიწვეულნი ყოფილან ერთს ქორწილში და ერთმანერთს სრულიადაც არ იცნობდნენ, ქორწილის შემდეგ დაბრუნებულან თავ-თავიანთ სადგომებში. ნ. ქ---ძე მისულა სახლში, ამდროს მეორე ოთახიდგან შემოსმენია ყვირილი თავის სახლობისა. ქ—ძე შევარდნილა ცოლშვილთან და უნახავ შემდეგი საზარელი სურათი: ბ-ნი ა. შეიარაღებული თავს დასდგომოდა ქ—ძის ცოლშვილს. ამ სანახავით აღშფოთებულმა ქ—ძემ თავი ვერ შეიკავა და დასჭრა თურმე ბ-ნი ა. დაჭრილი ფეხით წავიდა თავის მასპინძელთან და იქიდგან საავადმყოფოში გაგზავნეს. ჭრილობა მაინცა-და-მაინც მძიმე არ არის.

⁂ კავკავი: უმთავრეს სახსარს მინდვრის ოსების ცხოვრებისას შეადგენს სიმინდი, რომლის ნაფასურით ისინი იმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებას. მინდვრის ოსებს, სიახლოვის გამო, თავიანთი სიმინდი მომეტებულ ნაწილად მოაქვთ რკინის გზის სადგურებზე, სადაც მრავალი სიმინდის მყიდველი ხალხი იპოვება. მაგრამ ეს გარემოება მაინცა-და-მაინც არა ჰშველის საბრალო ოსებს. მყიდველები რაღაცა ნაირად ისე ახერხებენ, რომ ოც-და-ათს «მერკას» (ერთი ფუთი და ნახევარია) ოც-და-ხუთად გამოიყენებენ ხოლმე წონაში და, თუ არ თავიანთის ანგარიშით, ისე სიმინდს არ აიღებენ. რასაკვირველია, ოსები სთანხმდებიან, რადგანაც სიმინდის უკანვე წაღება ეზარებათ. თუმცა ყოველივე ეს მეტად აშკარაა და საბრალო ოსები საქვეყნოდ სჩივიან მყიდველების უსინიდისობაზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით ოსებს მოსარჩლე არ გამოსჩენიათ.

⁂ საჭილაო (სენაკის მაზრა): საჭილაო, რომელსაც შეადგენს რამდენიმე სოფელი და რომლის მკვიდრნი წოდების განურჩეველად მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ, ადმინისტრაციულად მიწერილია სენაკის მაზრაზე. წარსულს წელს სოფ. ილორის სასოფლო სკოლაში, რადგანაც ილორი საჭილაოს ეკუთვნის, შემოიღეს მეგრულის ენის სწავლება.

აქაურს საზოგადოებას განზრახვა აქვს სთხოვოს მთავრობას, რომ საჭილაო ქუთაისის მაზრას მიაწერონ.

⁂ ტფილისში, უძლურთა და საპყართა თავ-შესაფარში, ამ წლის 1 იანვარს ყოფილა სულ 62 კაცი. თავ-შესაფარში შესვლის მსურველია ამ ჟამად 47 კაცი. ამ თავ-შესაფარს შარშანდელის წლის განმავლობაში გამოუკვებია სულ 22,230 მამაკაცი და დედაკაცი და დაუხარჯავს ამ საგნისათვის 11,751 მან. 22 კაპ. თითო უძლურისა და საპყარის გამოკვება დასჯდომია დღეში ათი შაური და ორი კაპეიკ ნახევარი. (გაზ. «ნოვ. ობოზ.»)

⁂ ამავე გაზეთს შეუტყვია, რომ ტფილისის სამკურნალოში ამ წლის პირველს იანვარს იყო სულ 247 კაციო, 158 მამაკაცი და 89 დედაკაცი.

⁂ ოდესის გაზეთები სწერენ, რომ შარშანდელის წლის განმავლობაში ნოვოროსიისკიდამ, ფოთიდამა და ანაპიდამ მოვიდა ოდესაში 200,000 მან. კავკასიური თამბაქოეო. მომეტებული ნაწილი ამ თამბაქოსი გაგზავნილ იქმნა მოსკოვსა და პეტერბურგში იქაურის ქარხნებისათვისაო.

⁂ გაზეთ «კავკაზს» შეუტყვია, რომ კავკასიის სასოფლო საზოგადოება შემდეგს კრებაზედ განიხილავს ხვნა-თესვისა და სოფლის მრეწველობის დეპარტამენტის წინადადებას. დეპარტამენტი სთხოვს საზოგადოებას, რომ მოაწყოთ სოფლის მასწავლებელთა და სასტატო სემინარიების მოსწავლეთათვის საბაღოსნო სკოლაში სასოფლო მეურნეობის სწავლებაო. ჩვენის აზრითაო — სწერს დეპარტამენტი, — შეიძლება მსმენელთ ისწავლონ ბაღისა და ვენახის მოვ-

---

ზედაც თამამად ილაპარაკებს, ეტნოგრაფიასაც ხელის-გულზედ გადაუშლის საზოგადოებას, ანტროპოლოგიურ ნარკვევსაც წარუდგენს, ერთის სიტყვით, რაც გულსა და სულს ენატრება, ყველაფერს დასწერს, ყველაფერს იტყვის, ზოგიერთს კიდეც აამებს და სახელსაც გაიკეთებს — აგერა როგორი ნასწავლი კაცი გვყოლია და რამდენი რამ გაუგია ჩვენთვის უცნობ ხალხის ყოფა-ცხოვრებისაო.

**

თუ წოწოლაქობამ არ აიტანა და ერთი «ქალამანიც ჩააცვა» ლაქიასა, მაშინ თავით-ფეხებამდის გაკეთდა კაკალი კაცი — არც ერთი საყურადღებო ამბავი აღარა მოჰხდება-რა, რომ იმას ასცდეს. იჯექი შენთვისა და იფილოსოფოსე, რამდენიც გინდა და როგორც მოახერხო. მე ვიცნობ ერთს ამისთანა მეგაზეთეს. იმ დღეს თავ-მოწონებული მეუბნება — როგორ მოგეწონათ ჩემი შენიშვნა იმ დღევანდელ ნომერში ტფილისის ვაჭრობაზედაო. მე მაშინათვე მივხვდი, რომელ შენიშვნაზედაც მეუბნებოდა. ვუთხარ — დიდი სიმახვილე გამოიჩინეთ ჰკუისა-მეთქი. და მართლადაც, ზარაქიანი სიმახვილე უნდა კაცს, რომ «ცხენის კუდის მოჭრის საქმის თაობაზედ» ისეთი ღრმა სიბრძნე, ცოდნა და მოფიქრება გამოიჩინოს. იმ შენიშვნაში ეწერა: ჩივიან, ვითომც ტფილისის ვაჭრობა დაეცაო. არ დაიჯეროთ, სტყუიანო. ვაჭრობა-კი არ დაეცა, ერთი ათად იმატა, გაიზარდაო. ამას წინად კუკიის ხიდის ყურზედ რამდენიმე სამაღაზიო ოთახი გაუქირავებელი ეგდო. მაგრამ რაკი ვაჭრობა მატულობს, ამის გამო ის დუქნები თან-და-თან გაქირავდა. იმ დღეს უკანასკნელი ოთახი დაიჭირა ერთმა ვაჭარმა, გაჰმართა წიგნის მაღაზია და ეხლა კარგადაცა ვაჭრობსო. მაშასადამე, არამც თუ ვაჭრობა არ ჩამოხდა ძირსა ტფილისში, უფრო მატულობს, და რაკი წიგნების მაღაზიათა საქმეც კარგად მიდის, აშკარაა, რომ ჩვენ სიმდიდრესთან კიდეცა ვნათლდებითო. ერთის სიტყვით, ვაჭრობა და განათლება, განათლება და ვაჭრობა... ორივე კარგად მიდის. ხელი-ხელ ჩაუკიდნიათ ერთმანერთისათვის და თქვენ მხოლოდ სეირს უყურეთო. აქ შელავათები რისთვის-ღაა საჭიროვო.

აი, ამ შენიშვნაზედ მეკითხებოდა ჩემი ნაცნობი. რუსულ გაზეთში გახლდათ ეს საკვირველი ოხუნჯ[illegible] იმის დამწერმა ფილოსოფოსმა გულმართლად მიამბო, რომ ეს ცნობა ლაქიას მიეტანა მისთვისა. თურმე ხიდზედ გაევლო ლაქიასა, დაენახა შაურიანი წიგნი, სურათებით მორთული, და ეყიდნა. ამ შაურიან წიგნის სყიდვამ გამოიწვია მახვილი მოსაზრება მასზედ, რომ ტფილისმა დიდი ნაბიჯი გადასდგა კეთილდღეობისაკენ, რომ იმისი ვაჭრობაც კარგად მიდის და მაშასადამე ტფილისს-კი არ უნდა შველა, ტფილისმა უნდა უშველოს და რაც შეიძლება მეტი ხარჯი გასწიოს მუქთა ხალხის შენახვისათვის...

**

და რა ტფილისის ავ-კარგიანობა ვინდათ. აკი ვამბობ, რომ იმათი მაგალითი ჩვენ ხელს არ მოგვცემს...

ამას წინად, თუ გახსოვთ, ერთის ამბით და თავ-მოწონებით ვწერდით, რომ ქიზიყში ჩამი-ჩუმიც აღარ ისმის ქურდობისა, რომ ხალხი დამშვიდდა, დაწყნარდა, რომ ეხლა ქიზიყელ კაცს აღარა აქვს შიში გაისარჯოს რამდენიც უნდა, იმხნეოს, იშრომოს, გადადგას ფეხი ცხოვრების მოედანზედ, რადგანაც თავისი მონაგარი თითონვე დაჰრჩება, აღარ აახრებს მტერი იმის ავლა-დიდებასაო. ამისთანა მყუდროებამ დაჰბადა ჩვენში ოცნება, რომ ქიზიყის მცხოვრებნი თანდისთან უფრო გააძლიერებენ თავიანთ სარჩო-საბადებელს და უხვად გამოჰრჩებიან იმ მდიდარს ბუნებას, რომელიც დაფენილია ივრისა და ალაზნის შუა ადგილებში. უნებლიედ დაგვეხატა სურათი თვალ-წინ ხვალ---ხვალ ზევითის ე. ი. ახლო მერმისისა, — ვითომც ქიზიყის ხალხს ყველაფერი უხვად აქვს დაბინავებული ორმოსა და ქვევრებში, აღარ უჭირს ლუკმა პური და, რაკი შეძლება მოსდევს, გაჰხსნია მადა ადამიანურის ცხოვრებისა. აგერ ტიტლუზა, რომელიც დღეს ტყაპუჭებშია გამოხვეული, მერმისა ზის თავის კირკიტა კაკლის ქვეშა, წამოუსხავს ღურა-ტყავი და ემუსაიფება გეგენას, ტეფოს, ჯანდიერსა და გურგენას იმაზედ, რომ მარტო სოფლის სკოლა არა კმარა იმათის შვილებისათვის, კარგს იზამენ, რომ ჩავიდნენ ტფილისში, დააყენონ სადმე რიგიან სახლში და მისცენ რომელსამე კარგს სასწავლებელში.

ამ სურათს მოჰყვა მეორე. ვითომც გოგაურას დანგრეული ქოხი კეკლუც სახლად გადაქცეულიყო. ზამთრის პირს მოეტანებინა. ბუხარში ცეცხლი გუგუნებდა. გარშემო რამდენიმე ქალ-რძალი შემოჰსხდომოდა ბუხარს. გოგაურას და ლოლაურას ეჭირათ ხელში წინდები და ჰქსოვდნენ. გოგაურას შვილი-შვილი თამრო ჩასცქეროდა წიგნსა და გულ-მოდგინედა კითხულობდა ხმამაღლა. სხვები ერთგულად ყურს უგდებდნენ.

ჩემს ოცნებაში ერთი ქიზიყური სახლიც არ გამომეპარა, რომ შინ თავიანთვის არა ჰქონოდათ ყოველივე წიგნი, რომელიც-კი ქართულს ენაზედ დაბეჭდილა ან დაიბეჭდება... მართალია, დიდი რამ არ არის ამ წიგნების სყიდვა, სულ რამდენისამე მანათის საქმეა, მაგრამ მაინც მიამებოდა ეს ოცნება, რადგან ამით იხატებოდა, რომ ქიზიყში წერა-კითხვის მადა და გემო გახსნილაო.

მიკიჟინებენ — ქართველს კაცს არც ნატვრაში აქვს შნოვო, ნუ თუ სხვა ვერა ინატრება ქიზიყისათვისაო. მაგრამ მე ამ კიჟინს არ შევუშინდები. პირ-იქით, უნდა ვსთქვა, რომ ზემოხსენებული ოცნება მინდოდა საქართველოს სხვა ადგილებშიაც გადამეტანა და ზოგან არ გადავიტანე მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ვერ მოსპეს ქურდობა-ავაზაკობა.

და მიზეზიც ეს იყო, რომ ოცნე-

ა, ღვინის დაყენებაო. არ იქნება ...რიგო, რომ ამავე დროს ზოგიერთი ისეთი სადა ხელობაც ისწავლონ, ... სოფელში ასე თუ ისე გამო...ებელიაო.

...5 თებერვალს პოლიციის მე-3 ნაწილ... ...ქარია ჭავჭავაძეს ღვინის სარდა... ...ის რკინები გაუტეხნიათ და ვი... ...ტანია პაწია ყუთი 50 მან. ფუ... ...ოძიება სწარმოებს.

...ქუილისში ხაზინიდგან სხვა-და-სხვა ... მოუპარ...ვთ ბლანკები სულ 149 მა...ისა. ქურდობაში ეჭვი მიიტანეს ხაზინის ...არაჯს მათე ბარკისზე, რომელიც პოლი...ციამ დააპატიმრა. მოპარულში ცოტაოდე ...პოვნეს მეწვრილმანეებსა და სხვა ვაჭრებს ...ლობარში.

# ამა ღ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ვთის-ხევი** (ქართლი, 30 იანვარს). ...სოფელი დიდი სოფელია, 500-...ოსახლე იქნება. თავად-აზნაუ...0 კომლამდეა, სომხობა — 60-... სომხებში, ვინც ხვნა-თესვას ...ავს, არაფრით განირჩევა ქართ...გლეხისაგან, ხოლო ვინც ვაჭ...ბს, ისინი სულ სხვა ჯურის ხალ...ა.

კავთის-ხევი ძველად პირ-მტკიცე ...ოფელი იყო და სახელი ჰქონდა ...ნთქმული პატიოსნებითა, ახლა-კი ...ოტა არ იყოს ახალმა სიომ დაჰბე...რა: სიტყვის გატეხა ადვილი შეიქნა, ცრუ ფიცი და ჩვენება სასამართლოში სათაკილოდ ბევრს არავის მიაჩ...ნია. ვითომ-და კანონის მცოდნენი გაგვიმრავლდნენ და სოფლის საქმეებს წაღმა-უკუღმა ატრიალებენ. მამასახ...ლისი-კი ბეჯითი და მუყაითი კაცია: ს...ცდილობს ფხიზლად მოიქცეს და სოფლის საჭიროებას გასწვდეს შეძ...ლებისადა გვარად. სკოლას, სოფლის ჯან-მრთელობას და სხვა ამისთანა საგანს თვალ-ყურს ადევნებს.

ჩვენს სოფელში დიდ-ძალს კირსა ...სწვენ. მაგრამ ტყის საქმე ჩვენ სო...ფელში მოუწყობელია. აქამდე ტყის პატრონები, აქაური მემამულენი, თვი...თონ იღებდნენ შალბაშსა, ხოლო ახლა ტყეები გაცემულია იჯარით. ვინც წინად გადავიხადეთ ტყის შალბაში მემამულეების სასარგებლოდ, ახლა კიდევ მოვალენი გავხდით, რომ ახალ მეიჯარადრეს გადავუხადოთ.

შემოდგომამ ისე გაიარა, რომ თოვლი სრულიად არა ყოფილა. ამის გამო მინდორში თაგვი გაჩნდა. მხვნელ-მთესველნი ძრიელ შესწუხდნენ ამ მიზეზით. მაგრამ, მათდა სასიხარულოდ, იანვარში დაიწყო თოვლი და კარგა ხანს მოდიოდა. ამ ამბავმა დიდად გაახარა სოფელი.

დიდი უბედურება დატრიალდა შარშან ზაფხულს კავთის-ხევს ახლო სოფელს წინარეხში და ეს უბედურება აქამდე არავინ არ აცნობა გაზეთის მკითხველებს. ერთს მშვენიერს დღეს, როცა თითქმის მთელი სოფელი გახვეტილი იყო დიდს დღეობაში, ერთი პატარა შვიდის წლის ქალი ევა სვიმონა გოდერძიშვილისა გამოიტანს სახლიდგან ცეცხლს კალოზედ, დაანთებს შიგ დაბულულებულს ურეხელში, დაუძახებს თავის პატარა ხუთის წლის ძმას, მოუსხდებიან გაძრიელებულ ცეცხლს, სწვავენ ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ჰმურავენ ალზედ ნედლ სიმინდებს და დიდს შექცევაში არიან და-ძმანი! უგრეხელი-კი იწვის და აქედგან ეძლევა ცეცხლი სავსე ტყლუშურს საბძელს, რომელშიაც ერთ კუთხეში ალაგია სამი წყვილი ურმის თვლები, უღლები, აპეურები, ჭაპნები, ღვედი, არნადი, ნიჩბები, ფიწლები, კევრები და კიდევ ბევრი ამისთანა და სხვა გვარი იარაღი; აქვეა კალოზედ პურის და ქერის ხვავები, უშველებელ საბნით და ლეიბით დაფარული, აქვეა კევრები კიდევ, საძნე ურემი, გუთანი, ხამუთი და სხვა. იწვის ყველა ეს, იწვის, და ჯერ არავის გაუგია! ზოგი დღეობაშია, ზოგი შინ ან ვენახში თავის სტუმარს შეაქცევს წითელის ღვინით. ძლივ-ძლივობით ისევ ეს დამნაშავე დაწიოკებული დაძმანი წიოკობით და ერთის ვაი-ვაგლახით ატყობინებენ ამ საზარელს ამბავს, და როცა თითქმის სულ ჩაიმუმლება სუყველაფერი, მაშინ მორბიან საშველად: ჰაი ყვირილი, ჰაი წიოკობა, ჰაი წყლის მიდგმა ცეცხლზედ... დალორთხვა ძნებისა, რო... ...ის, ცეცხლი იმასაც არ წაეკი...ა, და რის ყოფით ძლივს გაანელებენ დაუნდობელ ცეცხლს, რომელიც ძალიან ადვილად მიეცემოდა იქავ ახლომახლო ჩამწკრივებულ ძნებს და დაილუპებოდა მშრომელი სოფელი სულ ორი-სამის საათის განმავლობაში. ეხლა-კი ორი კომლი კაცი დაილუპა სრულიად! მთელის წლის შრომაზედ, ნაწვავ-ნადაგსა, კარებზედ დაბინავებულ სარჩო-საბადებელზედ დაიბანეს ხელი და დაიკრიფეს გულ-ხელი. შესცქერიან მუმლად ქცეულს სარჩო-საბადებელს, თავიანთ წვრილშვილებს და მოაგონდებათ თუ არა ეს უბედურება, კაცებიც დედაკაცებსავით მწარედ და მოთქმით ქვითინებენ! სატირელი და სავალალო არა აქვთ თუ? რითი გამოჰკვებონ ცოლშვილი, როდის-და შეიძინონ საბძელი, სხვა ავეჯი, რითი იყიდონ ლუკმა პური თავიანთვის, საჭმელი საქონლისათვის? უნდა აიღონ ვალი და ვახშში ჩაცვივდნენ! დღევანდლამდე გაკეთებული გლეხი დღეის შემდეგ ღარიბდება, სარგებლის მიცემას ველარ აუვა და, ვინ იცის, როდის უნდა მოიდგას უბედურმა სული! ვინ იცის როდის, მკითხველო!

ინდასან

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი დოცვა-კურთხევა და მადლობა მივუძღვნა გარძიის მონასტერში მორჩილად მყოფელს, ევთიმე ბაკურაძეს.

მე მქონდა უმაღლესის სასულიერო მთავრობის მიერ ბოძებული წიგნი ხასწერად კეთილ-ნებობითის შეწირულებათა სასარგებლოდ ხემდამო რწმუნებულის ისიდორე სამთავნელის სობორის შესაკეთებლად. ხსენებულმა ევთიმე ბაკურაძემ მიიღო მხურვალე მონაწილეობა ამ ქველს საქმეში და დამატარა ტფილისი, დუშეთი, კავკავი, პიატიგორსკი, შემაკრებინა რამდენიმე ასი მანეთი ფული და აგრეთვე მეც უვნებლად გარმარინა ... უფალს მოსავლოდნელს ცუდს შემთხვევებს. ღმერთსა ვსთხოვ, მონასტრებს და ეკკლესიებს არ მოაკლოს იმ ნაირი ერთგული მორჩილი, როგორიც არის ხსენებული ბაკურაძე.

სამთავისის სობოროს მღვდელი და მოძღვართ-მოძღვარი

ექვთიმე მცხვეტაძე

## უცხოეთი

**ბოლგარია.** «Pester Lloyd»-ი ამტკიცებს, რომ ჩერნოგორიის ვოევოდა მილანოვი უნდა ოსმალეთს ბოლგარიის მთავრადაო. პრინც ფერდინანდ კობურგის საქმე წასულია სულა, ბისმარკის სიტყვამ ბოლო მოუღო ბოლგარიის მთავარს ფერდინანდსაო.

— თუმცა ფერდინანდი, პრინცი კობურგისაო, — ამბობს «Journal de Debats»-ი — ძალიან ცდილობდა ოსმალეთი რუმელიის დათვალიერების დროს გული მოეგო ხალხისთვის, მაგრამ სიამისო ვერა გაარიგა-რაო. ფილიპოპოლში ჩომაკოვი და კისიაკოვი, რომელნიც აქამდე მთავრობის მომხრენი იყვნენ, ახლა ეწინააღმდეგებიან მთავრობასაო.

**ავსტრი-ვენგრია.** მნელი ასაწერია ის მოუთმენლობა, რა მოუთმენლობითაც ელოდდნენ აქ ბისმარკის სიტყვის წაკითხვასაო. წინა დღით მთელი ქვეყანა მხოლოდ მაგ სიტყვის თაობაზე ლაპარაკობდა. პეშტში კლუბები თითქმის გათენებამდე ღია იყო. გაზეთების რედაქციებს მოსვენება არ აძლევდნენ ხელის-მომწერელნი: ჩქარა მოგვიაე, თუ არაო.

**ინგლისი.** ლონდონშიაც მოუთმენლად ელოდნენ ბისმარკის სიტყვას. ის გაზეთები, რომელნიც საღამოზე დაბეჭდნენ და რომლებშიაც მოკლედ იყო დაბეჭდილი ბისმარკის სიტყვა, დაიტაცეს მკითხველებმა. მეორე დილით დაბეჭდილმა გაზეთებმა სთქვეს, რომ ბისმარკის სიტყვა დაამშვიდებს ევროპასაო.

**ოსმალეთი.** დიდის ყოყმანისა და ტოკვის შემდეგ ოსმალეთმა მოიწონა ბოლოს როგორც იყო კონვენცია, ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეკრული სუეცის არხის გამო. სტამბოლში ამაზე ირადე გამოსცა ხონთქარმა. ახლა კონვენცია ხელ-მოსაწერად გაეგზავნება იმ დიდს სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი უწერიათ ბერლინის ტრაქტატზე. გუშინწინდელმა დეპეშამ-კი სულ სხვა ამბავი მოიტანა ამ საგანზე.

— ერზერუმიდამ იწერებიან, რომ ქურთებს სწადიათ აჯანყდნენ სომხეთშიო.

**რუმინია.** რუმინიის პოლკოვნიკმა თავადმა გიორგი ბიბესკომ გამოიწვია ხმალში რუმინიის გარეშე საქმეთა მინისტრი ფერეკიდე, რადგან ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილი იყო გიორგი ბიბესკოსათვის შეურაცხი წერილი. ფერეკიდემ უარი სთქვა და ხმალში არ გავიდა. საზოგადოება ბუქარესტისა ძალიან ჭორაობდა ამ საქმის გამო.

## წვრილი ამბები

— ნეაპოლის არხივებში უპოვნიათ ორი დიდი დავთარი წერილებისა, რომელიც ეკუთვნის დედოფალ კაროლინა მარიას, მეუღლეს მეფე ფერდინანდ მე-IV-სას. ამ წერილებში 1799 წლის ამბებია აღწერილი. ეს დედოფალი ქალი მარია ტერეზიასი, ძალიან მხნე და გამჭრიახი ადამიანი იყო და თავის ქმრის — ფერდინანდ მე-IV სუსტის ხასიათის გამო თითქმის თითონა ჰმართავდა ნეაპოლსა და სიცილიას მეფედ ნაპოლეონი I-ი.

— ისპანიის პოეტს კალდერონ დე ლა ბარკას თაყვანისმცემელნი გამოსხვნია და და ახლა ისპანიის მთავრობისათვის თხოვნით მიუმართავთ, პოეტის შემდეგ დარჩენილს დიდ-ძალს ქონებას სთხოულობენ.

— ზორდოში ორი ათასამდე ხალხი შემოეხვევია იქაურს თეატრს და მოუთხოვნიათ, რომ დირექციამ თეატრისამ ადგილების ფასები შეამციროსო. ეს ამოდენა ხალხი მხოლოდ მაშინ დაშლილა, როცა პრეფექტს გამოუცხადებია, რომ დირექცია თანახმაა თქვენს თხოვნაზეო.

— პრუსიის სამხედრო მინისტრის განკარგულებით, ყველა სარკინის-გზო სადგურები აღმოსავლეთსა და დასავლეთს საზღვრებზედ გაუფართოვებიათ.

---

...ის შემდეგ თითქო კიდეც ვუსაყვედურე, მაგალითად, ივრის ხეობის ...ფეროსებს, რომ ასე გულ-გრილად ...ჰყურებენ ხალხის დალუპვას, აქამ...დის არ ჩაჰკიდეს ხელი ქიზიყის მაგალითსა და იმათებურად არ ამოჰკვე...თეს ძირიანად ქურდობა-ავაზაკობა, ...ს საშინელი უბედურება ქვეყნისა.

მაგრამ თქვენი მტერი, რომ მე ...წარედ გამამტყუნა თვით დალოცვილ ქიზიყის ცხოვრებამ. დადგა ...თუ არა ახალი წელიწადი, ამბავი-...ამბავზე მოდის გაზეთებში, რომ თა...თრებმა კვლავ უპატრონოდ დაინახეს ...ილნალის მაზრა და კვლავ გაძ...ლიერდა ქურდობა-ავაზაკობაო.

მოდი და ამას იქითაც ენდე ქიზიყის მყუდროებას!.. რის მყუდრობა, თურმე თავს იკატუნებდნენ, რა...რის — ეჰვი გაიფანტოსო. არა, ესეც ...ტყუილია. ეხლა-კი გვეცოდინება, რომ

ორგვ-მარგვ არს ქიზიყი —
ხან ჰნოტიობს, ხან-კი ჰგვალავს;
დღეს რომ კარგი წინ გიმძღვაროს,
უკან მოგადევნებს ხვალ ავს.

**

ეს ქურდობა და აზაკობა ხომ საყვენია და საწყენი. აბა რაღ იქნება ...რგი, კაცი მუდამ შიშში იყოს, რომ ბოროტმოქმედი ...

პირიდამ უკანასკნელ ლუკმას გამოაცლიან. მეზობელი იქნება თუ შორეული, მოდის გულადად, პირ და პირ ესხმის თავსა და მიაქვს, რაც-კი ხელთ მოჰხვდება. დღეს ხარს მოგტაცებს, ზეგ ცხენს, მაზეგ კამბეჩებს. თუ წინაალმდეგობა გაუწიე, სიცოცხლესაც არ შეგარჩენს. გზას გაუდგები სადმე, რომ საქმე წინ წაიგდო, და უცებ წამოგადგება ქიარიმა ანუ თავიდამ ხელ-აღებული ალია-მუსტაფა, გაგატიტვლებს, გაგცარცვავს, გაგლახავს, შეგარცხვენს და უკან დაგაბრუნებს. ვინ იცის, რამდენით დაგწევს უკანა. მოდი შენა და რიგზე წაიყვანე შენი საქმეები.

რაც უნდა დაწინაურებული იყოს საზოგადოება, რაც უნდა მკვიდრ საძირკველზედ იყოს წამოჭიმული იმისი სამოქალაქო წეს-წყობილება, რაც გინდ ძვალსა და რბილში ჰქონდეს გამჯდარი კრძალვა და ყადრი სხვის საკუთრებისა, რაც უნდა შეურყევლად პატივსა სცემდეს მოყვასის ღირსებას, — თუ-კი ასე გამუდმებით შეურაცხყოფას მიაყენებენ იმის აზრსაცა, იმის შეხედულებასაც, იმის საკუთრებას, თუ-კი არ შეარჩენენ ნაყოფს გამრჯელობისას, თუ-კი იმისი მონაგარი სულ მუდამ დავლად გახდება ქურდებისა და ავაზაკებისა, — ნუ თუ ამისთანა ხალხს ესაყვედურება, რომ იგი დაბლა სდგას სამოქალაქო წესწყობილებაშიო? ესაყვედურება-კი არა, პირ-იქით, საკვირველია, თუ ოცისა და ორმოცის წლის გამუდმებულ ყაჩაღობის შემდეგ ასეთი ხალხი ერთიან არ განადირდა და ცოტა მაინც კიდევ შეჰრჩა ადამიანური ნიშან-წყალი...

**

იმ დროს, როდესაც აქეთ-იქიდამ გესმის გაუთავებელი სამდურავი, რომ კავკასია დასალუპავი ქვეყანაა, აქ კაცს არ ედგომილებაო, ჩვენა ვხედავთ იმისთანა მივარდნილ ადგილებს, როგორც ფშავ-ხევსურეთია, თუშეთი და სხვანი. ასრეთ წოდებულის განათლებულ კაცის ფეხი იშვიათად მოჰხვდება ამ კუნჭულებს. იქ ხალხი თავის თავადა სცხოვრობს. მთავრობას-კი მოაგონდება ხოლმე, რასაკვირველია, ხანდისხან, რადგან ყოველი ქვეშევრდომი უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას, და გარდასახადების დროს გზირები თავს დაუკვრენ ხოლმე. ისინიც შეძლებისდა გვარად ემსახურებიან ხელმწიფესა. სხვას არავის მოაგონდება ხოლმე იქაური ხალხი. ახლა გასინჯეთ, რა პატივი შეჰრჩენია ამ ხალხში წერა-კითხვასა. წარმოიდგინეთ, რომ ფშავ-ხევსურეთში თითქმის სრულ-წლოვან კაცს ვერ იპოვნით, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს. სკოლები იმათ არა აქვთ, მასწავლებელი იმათ არა ჰყავთ, მაგრამ წერა-კითხვის სიყვარული, ერთხელ როდისღაც წარსულში აღძრული, დღემდის არ ჩამქრალა, დღევანდლამდე ჰლუვის და ელის მზრუნველს ხელსა, რომ სწორე გზაზედ დააყენოს ასეთი ცხოველი სიყვარული სწავლისა.

ამ გასაოცარ ამბის გამოცნობაში, რასაკვირველია, ფართო სარკმლიდამ უნდა გასინჯვა საქმესა. და ამ სარკმლიდამ დაინახავთ ძვირფასს ნაშთს ერთხანდელის განათლებისა და ძლიერებისას. ვისაც არა აქვს ხალისი კარგის დანახვისა, ის შინა ბრძანდებოდეს, ნურას გამოიძიებს, ნურას გამოიკითხავს...

ჩვენ-კი დღევანდელი ფელეტონი გავათავოთ ბ-ნ მზრუნველის ანგარიშით შეახებ კავკასიის ოლქის სამოსწავლო საქმეებისა 1886 წელს. ეს ანგარიში ამ მოკლე ხანში დაიბეჭდა. იქიდამა ვხედავთ, რომ ამიერ და იმიერ კავკასიაში გვქონია სულ თერთმეტი გიმნაზია და რვა რეალური სასწავლებელი. იმათში უსწავლია სულ 6075 ყმაწვილს. ამათ შორის ქართველი მოდის სულ შვიდასი ყმაწვილი. დანარჩენი ყმაწვილ-კაცობა კავკასიისა სწავლობს სხვა-და-სხვა დაბალ სკოლებში.

ბ-ნი მზრუნველი კავკასიის სამოსწავლო ოლქისა ამბობს, რომ ეხლანდელი რიცხვი სასწავლებლებისა ერთი თხუთმეტად მაინც უნდა იქცესო, რომ ცოტად თუ ბევრად მაინც გაუძღვეს განათლების საქმეს ამ მხარეშიო. ეხლა-კი ათი ათას კაცზე ძლივს ას ოც-და-ხუთი მოსწავლე მოდისო.

მართლაც-და ამ მშვენიერ ქვეყანასა ჰყავს თითქმის შვიდი მილიონი მკვიდრი და ამათთვის მხოლოდ ოცამდე საშუალო სასწავლებელია! ოცამდე-კი არა, სამასი საშუალო სასწავლებელიც ვერ მოსწმენდდა პირსა, თუ-კი ყოველს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას ერთბაშად ექნებოდა სახსარი ყმაწვილების სწავლება-განათლებისა.

სანო

ზოგიერთ ლიანდაგებზე მეორე ლიანდაგიც გაუყვანიათ.

— ლონდონში აარსებენ ნამდვილს უნივერსიტეტს. აქამდე «University of London»-ის სახელ-წოდებით გამართული იყო ერთ გვარი დაწესებულება, რომელშიაც მსწავლულის ხარისხის მისაღებად გამოიცდებოდნენ ხოლმე მოსწავლენი. ხოლო ამ დაწესებულებას უმაღლეს სასწავლებლებსავით კათედრები არა ჰქონდა. ახალს უნივერსიტეტში-კი, რომელიც სახელმწიფოში წარჩინებულ კაცთა თავოსნობით იმართება, ოთხი ფაკულტეტი უნდათ გაჰმართონ: ფილოლოგიური, ბუნების-მეტყველებისა, იურიდიული და სამედიცინო.

— ბრიუსელში მისულა ერთი რუსეთის პოლიციის მოხელეთაგანი, რომელსაც განუზრახავს გაიცნოს, თუ როგორ არის მოწყობილი ბელგიის პოლიცია და რა უფლებანი აქვს მინიჭებული.

<>

## გასართობი

კენიგსბერგში ამას წინად წარმოუდგენიათ ტრაგედია „ანტიგონი", ხოლო ეს ტრაგედია უფრო ტრაგი-კომედია გამოსულა სცენაზედ. მაგალითებრ, იმ არტისტს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კრეონის როლი, ვერ ესწავლა ეს როლი და ბოლოს რეჟისორს უკისრნია. რეჟისორს თან უკითხავს თავისი როლი სცენაზედ და თან წარმოუდგენია წიგნი ხელში. მაყურებელნი სიცილით იხოცებოდნენ თურმე, როცა კრეონი შვილის გვამთან იდგა, მწუხარებით ხელების გაქნევა უნდოდა, მაგრამ ვერ შეეძლო თურმე, რადგან ხელში წიგნი ეჭირა და თვალს ამ წიგნს ვერ აშორებდა. მეორე როლის წარმოსადგენადაც ვერავინ მოემზადებინათ და ამიტომ ამ როლის აღმასრულებელსაც სცენაზედ წიგნი თანა ჰქონდა თურმე და ისე თამაშობდა. ეს როლი უსინათლო მოხუცის კაცის როლია, რომელიც სცენაზედ დაჰყავს პატარა ბიჭს. ამ უსინათლოს სცენაზედ წიგნი ეჭირა თურმე და ტირადებს იქიდგანა კითხულობდა.

**

აი კიდევ მეორე ამბავი თეატრის ცხოვრებიდგან. „Pall-Mall" გაზეთი მოგვითხრობს, რომ 16 იანვარს ერთს ნიუ-იორკის თეატრში ქ-ნი ლანგტრი არდგენდა პიესაში „როგორც სარკე". არტისტი - ქალი სტოლთან იჯდა, წინ საწამლავით სავსე შუშა ედგა და გამოსათხოვებელს წერილსა სწერდა თავის ქმარს: თავი უნდა მოეწამლა. თეატრში ისეთი სიჩუმე და დუმილი მეფობდა, რომ ბუზის ფრენაც-კი გასაგონი იყო, ყველანი არტისტ-ქალის თამაშობას ადევნებდნენ თვალ-ყურს. უეცრივ მარჯვენა კულისებიდგან გამოჩნდა უშველებელი შავი კატა; ხატაური მძიმე და დინჯის ნაბიჯით წამოვიდა ავან-სცენაზედ, შედგა ერთის მემუსიკის წინ და პირდაპირ ყურება დაუწყო. მემუსიკემ ჯოხი აუქნია. ხატაური დინჯად და წყნარადვე მიბრუნდა, მივიდა არტისტ-ქალთან, შედგა და დაუწყო სინჯვა და თვალიერება. საზოგადოებაში ჯერ ვიღამაც წაიფრუტუნა და ამის შემდეგ მთელმა თეატრმა ხარხარი დაიწყო. არტისტი-ქალი თავს იმაგრებდა, უნდოდა დანაღვლიანებული და მწუხარე სახე ჰქონოდა, როგორც შესაფერი იყო, მაგრამ სიცილი ველარ შეიკავა და იმანაც გადიხარხარა. ამ დროს კატა შეხტა და სცენის ფანჯრიდგან კულისებშივე გავიდა. წარმოდგენა განაგრძეს, მაგრამ ეხლა გაუფუჭდა დრამას და საზოგადოება უფრო კატაზედ ლაპარაკობდა და ბაასობდა, ვიდრე მოთამაშეთა ხელოვნებაზედ.

<>

## დეპეშა

5 თებერვალი

**ბერლინი**. დღეს, შუადღისას, იმპერატორმა ვილჰელმმა, რუსეთის სამხედრო წარმომადგენლის თანადასწრებით, ინახულა გრაფი გოლენიშჩევი-კუტუზოვი და კალუგის პოლკის დეპუტაცია. ხვალ სასახლეში გამართულ იქმნება სადილი დეპუტაციისათვის.

რეიხსტაგმა დაამტკიცა მესამედ წაკითხვის შემდეგ კანონ-პროექტი იმაზედ, რომ კანონი სოციალისტების შესახებ კვლავაც ჰმოქმედებდესო.

**მადრიდი**. დეპუტატთა პალატამ განიხილა მოხსენება იმაზედ, რომ წინანდელი დედოფალი იზაბელლა და ჰერცოგი მონპასიე მალულად მოქმედებენ ისპანიის წეს-წყობილების წინაამდეგაო. მინისტრმა გამოაცხადა, რომ დღევანდელს წეს-წყობილებას არავითარი განსაცდელი არ მოელისო.

6 თებერვალი

**პეტერბურგი**. ხარკოვის თავად-აზნაურობის წინამძღოლი შიდლოვსკი დაინიშნა ორიოლის გუბერნატორად.

ცალკე ნომრობით გაყიდვა გაზ. «Граждаиннъ»-ს აეკრძალა.

«Новости» ამბობს, რომ რადგან სახელმწიფო საბჭოში გარდაწყვეტილ იქმნა, გამოერიცხოთ თუ არა ფული ხაზინის სასარგებლოდ ჯამაგირის კვალობაზედ ყველა იმათ, რომელნიც სახელმწიფო სამსახურის უფლებითა სარგებლობენო, ამიტომ ფინანსთა სამინისტრომ დაადგინა, რომ მომავალში გამოერიცხოთ ჯამაგირიდგან ქალაქის მდივნებს, ხუროთ-მოძღვრებს, სათემო ექიმებს და სხვებს, რომელნიც სახელმწიფო სამსახურის უფლებითა სარგებლობენო.

**ვენა**. გაზ. «აღმოსავლეთ კორრესპონდენცია»-ში დაბეჭდილია ბერლინიდგან მიღებული წერილი. ამ წერილში ნამდვილის წყაროდგან ნაამბობია, რომ გრაფმა შუვალოვმათ. ბისმარკს გარდაწყვეტილი პირობანი დაუდვაო. მოლაპარაკება აქვთ კიდევაო. ხსენებაც-კი არა ყოფილა იმისი, რომ რუსეთმა თავისი ჯარები ჩააყენოს ბოლგარიაშიო. ამბობენ, რომ გერმანია და რუსეთი დაუახლოვდებიან ერთმანერთსაო.

ვენის სადიპლომატო წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ მოლაპარაკება ბოლგარიის საქმის გამო დიდხანს გასტანსო; ამასთან არც ეჭვი აქვთ, რომ ბოლგარიის საქმე ბოლოს მორიგებით გარდასწყდებაო.

**ფილიპოპოლი**. პრინცის წინააღმდეგ ამბოხება აღმოსავლეთ რუმელიაში უფრო და უფრო ძლიერდება.

**სტამბოლი**. ამბობენ, რუსეთის დიპლომატიის გავლენას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ბურლასის საქმის გამო დაპატიმრებული ჩერნოგორელები განთავისუფლებულ იქმნენ და რომ ოსმალეთმა უარი სთქვა, სოფიაში საგანგებო წარმომადგენელს არ გავგზავნიო.

**ლონდონი**. ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ ადმირალმა გიუეტმა სიტყვა სთქვა და გამოაცხადა, ვითომ ვინიცობაა ომი ასტყდა, ინგლისისა და იტალიის ფლოტები ერთად იმოქმედებენო. ეხლა საადმირალოს პირველმა ლორდმა, გამილტონმა, გამოსთქვა საზოგადოებათა პალატაში: ვეჭვობ, ვითომ გიუეტს მაგისთანა სიტყვა წარმოეთქვასო; ხოლო თუ მართლა წარმოსთქვა, მაგ შემთხვევაში იმის გამოხატვა სდომებია, რომ ინგლისსა და იტალიას შორის მეგობრული განწყობილება სუფევსო.

### პეტერბურგის ბირჟა 5 თებერვ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო | 9 35 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | $187^{3}/_{4}$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 35 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 264 |
| — მეორისა | — „ | — „ | 248 |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | 99 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | 99 | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

<>

## სია საქმეებისა,

### რომელიც უნდა განიხილოს საბჭომ 1888 წლის 8 თებერვალს.

I

(იმ კრების მაგიერ, რომელიც პირველ თებერვალს იყო დანიშნული და არ შესდგა.)

1) მოხსენება საფინანსო კომისიისა 1886 წლის ანგარიშზედ და გამგეობის აზრი.

2) მოხსენება გამგეობისა, რომ მოწმობები მიეცეთ და ვაჭრობაც დაინიშნოს ცალიერ ადგილისა (უეჭველად 36 ხმოსანი უნდა დაესწროს).

3) მოხსენება გამგეობისა, რომ 1888 წლის განმავლობაში დააკლდება სახარჯო ფული.

4) ხმ. თამამშოვის აზრი, რომ გადავსინჯოთ საბჭოს 15 ივნისის 1887 წლის გარდაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა ადგილი ამოვირჩიოთ სამუდამოდ საყასბოსათვისაო.

5) მოხსენება გამგეობისა სამუდამო საყასბოს გამართვის თაობაზედ.

6) მოხსენება გამგეობისა: რა დაიხარჯა და რა შემოვიდა შარშან.

7) მოხსენება გამგეობისა, რომ დასაჩუქრებულ იქმნან შეკრებულ ფულის დაგვარად ის მოხელენი გამგეობისა, რომელნიცა ჰკრეფენ შენობებზე დადებულ გარდასახადებს.

8) ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების თხოვნა მაწანწალა ძაღლების გაწყვეტასა და პირუტყვთათვის თავ-შესაფარის გამართვის შესახებ, და აზრი ამაზედვე გამგეობისა.

9) მოხსენება გამგეობისა გალუსტოვისა და არუთინოვის დავის გამო სახლებზედ.

10) თხოვნა პრასკოვია ვიხოდცევისა, რომ ნოტიო და ნესტიანი გამიხდა სახლები ქალაქის არხის სიახლოვის გამოისობითაო.

11) თხოვნა სვიმონ კიკვაძესი, რომ შეუმცირონ 1885 წლის აღწერის დასაფასებელი გარდასახადი.

12) თხოვნა სოსიკო მისარაშვილისა, რომ იმის სახლს 1885 წლის აღწერის გარდასახადი არ გამოერთვას.

13) თხოვნა ბარბარე ერემოვისა, რომ ხელ-ახლად იქმნას დაფასებული იმისი მამული და ამას გარდა განთავისუფლებულ იქმნას დასაფასებელ გარდასახადისაგან.

14) თხოვნა ნადვორნი სოვეტნიკის ხოლინის ობლების მფარველისა, კაპიტან ჩარნეცკისა, რომ გააუქმეთ სია და ნუ გაჰყიდით სახლსა ქალაქის ვალისათვისაო.

15) საჩივარი მელიკო ხანიკოვისა გამგეობაზედ, რომ ფურნეს ვაშენებდი და ნება არ მომცაო.

16) თხოვნა დავით არხიპოვისა, რომ წვიმის ნიაღვრებმა სახლი დამიზიანესო.

17) თხოვნა იაგორ დავიდოვისა, რომ სარგებელი მომეცეს 1876 წელს გამორთმეულ საშუალო აქციზისაო.

18) თხოვნა ეკატერინე პარუნჯანოვისა, რომ ხელ-ახლად იქმნას ჩემი სახლი დაფასებული და დასაფასებელი გარდასახადი შემიმცირდესო.

19) თხოვნა კნ. ნინო ერისთავისა, რომ უკანონოდ იქმნა დაფასებული ჩემი მამული 1885 წლის აღწერითაო.

20) საჩივარი იოსებ მერაბოვისა გამგეობაზედ, რომ გამგეობამ ღვინის სარდაფის გაღების მოწმობაზედ უარი მითხრაო.

21) თხოვნა წინამძღვრიშვილების რწმუნებულისა, იოსებ გაბაშვილისა, რომ ხელ-ახლად იქმნას დაფასებული მამული და ამას გარდა განთავისუფლდეს შეკვრისაგანაო.

22) თხოვნა ვაშაკიძესი და პანეროვსკისა, რომ უკანონოდ გამოგვერთვა დასაფასებელი გარდასახადიო.

23) თხოვნა ელენე ზუბალოვისა, რომ უკანონოდ გამომერთვა დასაფასებელი გარდასახადიო.

24) თხოვნა სოფიო კირიაკოვისა, რომ იმისი მამული განთავისუფლებულ იქმნას გარდასახადისაგან.

25) აზრი ხმ. თამამშოვისა, კალოუბნელისა, გარსოევისა, ივანენკოსი და ანანოვისა, თუ რა უწესოება სუფევს ცხენის რკინის გზაზედაო.

II

1) წინადადება ქალაქის თავისა, რომ ამორჩეულ იქმნას კომისია იმ დავის საბოლოვოდ გარდასაწყვეტად, რომელიც კურისსა და თარხნიშვილებსა აქვთ ქალაქის მიწის ერთის ნაწილის გამო.

2) წინადადება ქალაქის თავისა, რომ ორი დეპუტატი ამოვირჩიოთ და ვიყოლიოთ ტფილისის საგუბერნიო სახელმწიფო ხარჯის პრისუტსტვიაში.

3) მოხსენება გამგეობისა: ანგარიში ქალაქის გამსესხებელ კასისა 1887 წლის განმავლობაში და ხარჯთ-აღრიცხვა 1888 წლისათვის.

4) მოხსენება საფინანსო კომისიისა: რამდენად აღემატა ხარჯი შემოსავალს 1887 და 1888 წლების განმავლობაში.

ⵙⵙ

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია, ქვეყნის შექმნიდამ **7396**.

ძველი ინდიქტიონი მე 14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია — 25.

თებერვალი 29 დღით არის

7 დღე კვირა. ღირსისა პართენისა და ლუკასი. კათოლ. კლოტილდასი. სომეხ. წამება სუკიასიანცისა. მუსულ. მე-6 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—49, ჩადის 5—38. მთვარე 8 დღისაა.

8 დღე ორშაბათი. წამ. დიდ. თეოდორე სტრატილატისა, ზაქარიასი. კათოლ. ლუციასი და პავლესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—48, ჩადის 5—39. მთვარე 9 დღისაა.

9 დღე სამშაბათი. წმ. ნიკიფორესი და პანკრატისა. კათოლ. წმ. აპოლონისა. სომეხ. წმ. ვოსკიანცისა. მუსულ. მე-8 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—47, ჩადის 5—40. მთვარე 10 დღისაა.

ⵙⵙ

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: შაბათობით შუა-დღისას შორის გზ[...]

პარასკევობით დილით ოდ[...] მოკლეს გზით (კერჩსა და ნო[...]სიისკში შესვლით).

შაბათობით — დილით სტამბო[...]

ფოთიდამ ბათუმში მო[...] შაბათობით — იმის შემდეგ[...] ხუმიდამ მოდის გემი შ[...] ხუთშაბათობით — დილის 9 [...] მიასწრობს მოკლეს გზით [...] კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით — დილის 9 საა[...] მიასწრობს შორის გზით მოსია[...] კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანა[...]ლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის [...] ეობითა და კვირაობით, [...] მოვა ფოთიდამ, ბათუმის [...] გადასწყვეტს ხოლმე, როდის [...]

ამას გარდა ყოველ-კვირა[...] მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-[...] ნავთსადგურებიდამ გადასწყვეტი[...] დაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და[...] ბათს ბათუმისკენ მიდიან, რა[...] საქმეებს გაათავებენ. მერე ბა[...] პარასკევობით მიდიან ყირიმ-[...] ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თ[...] როა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე[...]

რუსეთის სანაოსნო საზოგად[...] სააგენტო იმყოფება სასახლის ქუ[...] არწრუნისეულს ქარვასლაში, № 1[...]


## განცხადებანი

### ვერძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონითა: ფარადის[...]ბურ და გალვანისებურ ხელისა და[...] ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულე[...]ბას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტუ[...]რას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე[...] სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნ[...]ჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათ[...] სნეულებას და სიფილისსა.

ავადმყოფებს მიიღებს ყოველ[...] დღე: დილით 9 საათიდგან 12 საა[...]თამდე და საღამოთი 7—8-მდე. იკი[...] თხონ ვარანცოვის ნაბერეჟნა, ძეგლის[...] მახლობლად, კუკიის ხიდის ყურთან[...] ტერ-ოჰანეზოვის სახლში, № 5.

(4—1)

დავიწყეთ გასყიდვა

სრულიად უშიშარის

**შვედურის სპიჩკებისა,**

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

## ქარხანა

**გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº.**

ვერაზე, ტფილისის ქალაქში.

(50—19)

ШОКОЛАТЪ С. СІУ и Кº


Доз. цен. Тиф. 6, февраля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, на Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე